

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია,
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Академия наук Грузинской ССР
Институт языкознания

ესპიანვთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია

1965 წლის 28 — 29 დეკემბერს
მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები.

НАУЧНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ
АСПИРАНТОВ И МОЛОДЫХ НАУЧНЫХ РАБОТНИКОВ.

28—29 декабря 1965 года
План работы и тезисы докладов.

სხდომები შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის სხდომათა დარბაზში, ძერჟინსკის ქ., № 8

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს	30 წუთი
კამათში მონაწილეს	10 წუთი
მომხსენებელს საბოლოო სიტყვისათვის	10 წუთი

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

მუშაობის გეგმა

28 დეკემბერს, დილის 10 საათზე

1. რ. მდივანი — ქართული ენის ფონემათა დისტრიბუციულ შეზღუდვათა აღწერა.
2. გ. კვარაცხელია — ზოგიერთი სტატისტიკური დაკვირვება ქართული ენის მარტივ წინადადებაზე
3. ლ. ენუქიძე — ზმნის ფორმისათვის ქართული ენის ბირთვულ წინადადებაში (ნ. ხომსკის ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების ცდა).
4. ვ. შენგელია — ადილური ონომასტიკისათვის.

28 დეკემბერს, საღამო 7 საათზე

1. დ. ჩხუბიანი — შვილი — ძველი ქართული ინფინიტიური (მას-დარული) კონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი.
2. გ. ცოცანიძე — ხოლმეობითისათვის თუშურში.
3. რ. ჯანაშია — აბსოლუტივის ფუნქციების შესახებ აფხაზურში (ოთხთავის მასალის მიხედვით).

29 დეკემბერს, დილის 10 საათზე

1. ლ. სანიკიძე — შეერთებითი კომპოზიტები (არსებითი სახელი) ბაცბურ ენაში.
2. გ. ბედოშვილი — პარალელური გეოგრაფიული სახელების შესახებ ქართულ ტოპონიმიკაში.
3. ნ. იმნაძე — მეგრულის ვოკალიზმი (რენტგენოგრაფიული გამოკვლევა).
4. ნ. კიზირია — ქანურის ვოკალიზმი (რენტგენოგრაფიული გამოკვლევა).

1. თ. ღვინაძე—დავით ჩუბინაშვილი—გრამატიკოსი.
2. ზ. ავიძბა—ზმნური მოდალური აფიქსები აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში.
3. ლ. გელენიძე—მეგრულ მსკენე „თავბრუ დაესხა“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის.

მოხსენებათა თეზისები

რ. მღივანი

ქართული ენის ფონემათა დისტრიბუციულ შეზღუდვათა აღწერა

(ხელმძღვანელი—პროფ. თ. შარაძენიძე)

1. ქართული თანხმოვნების ინვენტარული სია მოიცავს 27 ერთეულს, რომელთაც პრინციპში შეუძლიათ შექმნან 629 განსხვავებული წყვილი თანმიმდევრობა. ლექსელების შესწავლის შედეგად გამოიჩინა, რომ ენაში ამ 629-დან გამოყენებულია 254 (ეს ეხება $\text{ჩ} - \text{V}$ სეგმენტს, ე. ი. პოზიციას „სიტყვაში პირველ ხმოვნამდე“), დანარჩენი 375 წყვილი წარმოგვიდგენს კომბინატორულ შეზღუდვებს მოცემულ სეგმენტში. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ამ ინფორმაციის ენათმეცნიერული განზოგადებისა და ეკონომიური აღწერის ამოცანა.

2. ცნობილია, რომ შესაძლებელია ფონემათა აღწერის ორი სახეობა: ა) რელევანტური ნიშნების საფუძველზე და ბ) გარკვეულ გარემოცვებში (სტრუქტურულ სიმრავლეებში) შეხვედრის საფუძველზე. ცხადია, რომ ამ სიმრავლეებს შეიძლება ჰქონდეთ არაუარყოფითი თანაკვეთები.

3. ამიტომ დასახული ამოცანის გადაწყვეტის ერთერთ შესაძლებლობას წარმოადგენს $X \rightarrow \bar{Y}$ (თუ X , მაშინ არა Y) სახის იმპლიკაციების ჩამოთვლა, სადაც X , Y აღნიშნავენ ფონემათა გარკვეულ კლასებს. მოხსენებაში მოცემულია ამგვარი იმპლიკაციების ეკონომიური სიის მიღების წესი. ეს სია განსაზღვრავს ყველა დისტრიბუციულ შეზღუდვას მოცემულ სეგმენტში.

ზოგიერთი სტატისტიკური დაკვირვება ქართული ენის მარტივ წინადადებაზე

(ხელმძღვანელი—პროფ. თ. შარაძენიძე)

კვლევისათვის აღებულ იქნა აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას მხატვრული ნაწარმოებები (მხოლოდ პროზაული), რომელთაგან ამოიკრიფა 5 წევრის სიგრძის 1500 მარტივი წინადადება. მასალა გაერთიანდა სამ ცდაში. კვლევის ამოცანას შეადგენს, დადგინდეს: ა) წინადადების ყოველი წევრისათვის ხმარებულობის ალბათობა; ბ) წინადადებათა შედგენილობა მათი სიგრძის მიხედვით; გ) წინადადების ყოველი წევრისათვის თავიკიდურ, შუა და ბოლო პოზიციებში მათი გამოჩენის ალბათობა; დ) ყოველი სიტყვისათვის წინა და მომდევნო სიტყვის ალბათობა; ე) სიტყვათა რიგი და მისი ყოველი შესაძლო კომბინაციის ალბათობა წინადადებაში.

ექსპერიმენტმა გვიჩვენა:

1. ხდომილების ყველაზე დიდი ალბათობა შემასმენლის შემდეგ ($P=1$) აქვს განსაზღვრებას ($P=0,78$), ქვემდებარისათვის $P=0,64$, პირდაპირი დამატებისათვის $P=0,32$ და ა.შ. ყველაზე მცირე ალბათობით ხასიათდება მიზეზისა და მიზნის გარემოებები (P მიზნის $= 0,02$, P მიზეზის $= 0,01$). აქვე გამოვლინდა შემდეგი კანონზომიერება: წინადადების სიგრძის ზრდასთან ერთად მონოტონურად იზრდება ქვემდებარის, განსაზღვრების, უბრალო დამატების, ვითარებისა და დროის გარემოებათა გამოჩენის ალბათობა.

2. წინადადების ყველაზე მეტად გავრცელებული შედგენილობები შემდეგია: ა) ორწევრიანი წინადადებისათვის (შემასმენელი, ქვემდებარე; $P=0,43$); ბ) სამწევრიანი წინადადებისათვის (შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, $P=0,14$); გ) ოთხწევრიანი წინადადებისათვის (შემასმენელი, ქვემდებარე, განსაზღვრება, გარემოება; $P=0,19$); დ) ხუთწევრიანი წინადადებისათვის (შემასმენელი, ქვემდებარე, განსაზღვრება, გარემოება, დამატება; $P=0,21$).

3. მარტივი წინადადების თავიკიდურ პოზიციაში ყველაზე მეტად ქვემდებარის გამოჩენაა მოსალოდნელი ($P=0,26$), შემდეგ განსაზღვრებისა ($P=0,23$). ამ პოზიციაში ყველაზე იშვიათად შეგვხვდება მიზეზისა და მიზნის გარემოება ($P=0,008$), შუა პოზიციაში განსაზღვრების ხდომილებათა მეტად მოსალოდნელი ($P=0,27$),

შემდეგ შემასმენლისა ($P=0,16$). ბოლოკიდურ პოზიციაში შემასმენლის ალბათობა 0,52-ია; ამასთანავე დადგინდა, რომ რაიმე ადგილზე შემასმენლის გამოჩენის ალბათობა იზრდება ადგილის ნომრის ზრდასთან ერთად და მაქსიმუმს აღწევს უდიდეს ნომერზე. საწინააღმდეგო სურათს გვიჩვენებს ქვემდებარისა და განსაზღვრების განაწილებები.

4. წინადადების ყოველი წევრისათვის დადგინდა მისი წინა და მომდევნო წევრის ხდომილების ალბათობა. ასე, მაგ., ქვემდებარეს ყველაზე ხშირად შემასმენელი მოსდევს ($P=0,43$), ყველაზე იშვიათად მიზეზისა და მიზნის გარემოებები; უფრო ხშირად ქვემდებარეს განსაზღვრება უსწრებს ($P=0,24$), იშვიათად გარემოებები და პირდაპირი დამატება.

5. ყოველი სიგრძის წინადადებისათვის გამოთვლილ იქნა სიტყვათა ყველა შესაძლებელი გადანაცვლების ალბათობა და ამასთანავე რეალიზებულ წყობათა ალბათობები. დადგინდა სიტყვათა ბუნებრივი რიგი ორწევრიან, სამწევრიან, ოთხწევრიან, ხუთწევრიან და ექვსწევრიან წინადადებებში.

ლ. ენუქიძე

ზმნის ფორმისათვის ქართული ენის ბირთვულ წინადადებაში (ნ. ხომსკის ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების ცდა)

(ხელმძღვანელი—პროფ. თ. შარაძენიძე)

1. ნ. ხომსკი ინგლისური ენის წინადადებათა ანალიზის საფუძველზე ამ ენაში ბირთვის სახით გამოყოფს თხრობით წინადადებას აქტიურ ფორმაში, ხოლო პასიურ ქონსტრუქციებს, კითხვით წინადადებებს, წინადადებებს, რომლებშიაც მაკავშირებელი სიტყვებია გამოყენებული და ა. შ., ბირთვული წინადადების გარკვეულ ტრანსფორმაციად მიიჩნევს.

2. ინგლისური ენა ანალიზური წყობის ენაა. ხშირად ის მნიშვნელობები, რომლებიც მასში სინტაქსური საშუალებებითაა გადმოცემული, ქართულ ენაში წარმოდგენილია ზმნის ფორმის საშუალებით. ამიტომ ქართულ ენაში ბირთვული წინადადების გამოყოფის ცდის შემთხვევაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ზმნის რომელი ფორმის შემცველი წინადადება მიიჩნევა ბირთვულ წინადადებად.

3. ქართული ენის წინადადებისა და ზმნის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს ქართულში გამოვეყნოთ შემდეგი ბირთვული კონსტრუქციები:

1. N_{სახ.} V^I

2. N_{სახ.} N_{მთ.} V^I

3. N_{სახ.} N_{1 მთ.} N_{2 მთ.} V^I 1)

4. ქართული ენის სტრუქტურისა და სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინების შედეგად ზმნის ფორმათა წარმოებისას ამოვდივართ მოქმედებითი გვარის ორპირიანი ზმნის მესამე პირის მხ. რ. ფორმიდან.

5. ბირთვულ კონსტრუქციებს ვადებთ ერთმანეთზე დაუყვანადობის შეზღუდვას, რის გამოც ზმნის ენებითი გვარის, შუალობითი კონტაქტის, სასხვისო ქცევისა და სხვა² ფორმების შემცველი წინადადებანი ავტომატურად გამოირიცხება ბირთვულ წინადადებათა სიმრავლიდან.

6. ბირთვიდან გამოტანილი ყველა წინადადება გარკვეულტრანსფორმაციული წესების გამოყენების შედეგად შევა ქართული ენის წინადადებათა სიმრავლეში.

3. შენგელია

ადილშური მონომასტიკისათვის

(ხემძღვანელი—პროფ. გ. როგავა)

1. ადილური სახელები და გვარები შინაარსის მიხედვით შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს:

ა) ისეთი სახელები, რომლებიც ადამიანს გარეგნული ნიშნების მიხედვით ახასიათებენ: სიღწეა „შავი“, ფაგა „ცხვირბრტყელი“, ჭეჭე „თეთრი“, ქაჭე „მოკლე“ და სხვ.

ბ) სახელები და გვარები, რომლებიც ადამიანის ხასიათს ეხება: გაიშვსი „კეთილი ქალბატონი“, მუზალ „მოუსვენარი“, კნლახი „ვაჟკაცი“ და სხვ.

გ) პროფესიის მიხედვით შერქმეულები: ლიქპლუ „მკედელი“ კაცი, ჰახი „მეძალე“, სპალახი „მეწისქვილე“ და სხვ.

¹ სადაც N აღნიშნავს სახელს, ხოლო V ზმნის პიროვან ფორმას პირველ სერიაში.

² იგულისხმება ისეთი ფორმები, რომელთა წარმოქმნაც ზმნის პირიანობას ეკუთვნის და, მაშასადამე, იწვევს წინადადების სინტაქსური სტრუქტურის ცვლასაც

დ) ეთნიკურ სახელებთან დაკავშირებული სახელები და გვარები: ნაღიშა „ნოლაელი“, ეიანა „ეიანელი“, თურქი „თურქი“ და სხვ.

ე) ისეთები, რომლებიც ადამიანის სოციალურ წარმოშობაზე მიგვითითებს: ფშუ „ძველი თავადი“, ჭარკეზი „ძველი აზნაურის ძე“ და სხვ.

ვ) სახელები და გვარები, რომლებიც ცხოველთა სახელებს უკავშირდება: მესა „დათვი“, თლიზი „მგელი“, ცლია „თაგვი“ და სხვ.

2. ბევრ ადგილურ სახელსა და გვარში გამოიყოფა -ჯან ელემენტი, რომელიც მნიშვნელობით ქართულ გვარებში გამოყოფილ „ძე“-ს უდრის:

ა) სახელებში: თლიზი-ჯან „მგლის ძე“, საუსკრ-ჯან „საუსის ძე“ და სხვ.

ბ) გვარებში: მესა-ჯან „დათვის ძე“, ბშუ-ჯან „ჯოხანძე“, თურქი-ჯან „თურქიძე“, ნაბა-ჯან „ნაბას ძე“ და სხვ.

დ. ჩხუბიანიშვილი

ძველი ქართულის ინფინიტიური (მასდარული)

კონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი

(ხელმძღვანელი—პროფ. ვ. თოდუა)

1. ძველ ქართულში მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმა ინფინიტივის დამახასიათებელ ზმნურ კონსტრუქციებს ქმნის. იგი შეიწყობს პირდაპირსა და ირიბ ობიექტს: პირველს—სახელობითსა და მიცემით ბრუნვაში, მეორეს—მიცემითში. ამგვარი კონსტრუქციების პარალელურად მასდარის ვითარებით ბრუნვასთან გვხვდება ნათესაობით ან ნანათესაობითარ ვითარებითში დასმული სახელიც.

2. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ძველი ქართულის ის ფაქტები, როდესაც ნაზმარ სახელებთან—მასდართან, მიმღობასთან, უფროობით ხარისხთან—სახელი ნათესაობითთან ერთად მიცემით ბრუნვაშიც დაისმის (შენება სახლსა, მშენებელი სახლსა, უმჯობე კაცსა..., შდრ. შენება სახლისა, მშენებელი სახლისა, უმჯობე კაცისა...), რაც უძველესი მდგომარეობის ამსახველი უნდა იყოს.

3. შესაძლებელია ძველი ქართულის ინფინიტივის მიერ მართული პირდაპირი ობიექტის ორი ბრუნვისაგან მიცემითი ბრუნვის ფორმა იყოს უფრო ძველი. ამის დამამტკიცებელი ჩანს:

ა) ნაზმნარ სახელებთან მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის ხმარება (შენება სახლსა...) და

ბ) ის გარემოება, რომ ნაზმნარი სახელების წარმოებისათვის ამოსავალია ზმნის აწყმოს ფუძე, რომელსაც ობიექტის მიცემით ბრუნვიანი კონსტრუქცია აქვს, ბუნებრივია, თუ ასეთი კონსტრუქცია ნაზმნარ სახელებსაც გადაჰყვებოდა.

ბ. ცოცხანიძე

ხოლმეობითისათვის თუშურში

(ხელმძღვანელი—პროფ. არნ. ჩიქობავა)

I. 1. ხოლმეობითი, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, თუშურში ცოცხალია. იწარმოება-იღ ფორმანტის მეშვეობით.

2. უღლების სისტემაში ხოლმეობითი წარმოდგენილია ორი ნაკვითი:

ა) პირველი ხოლმეობითი—იწარმოება ნამყო უსრულის ფუძიდან: ვთბებოდ-იღწ, ვწვებოდ-იღწ, ვეჭირებოდ-იღწ, ვატირებოდ-იღწ, ვზელდ-იღწ.

ბ) მეორე ხოლმეობითი—იწარმოება ნამყო ძირითადის ფუძიდან: (გა)ვაკეთ-იღწ, (და)ვაწვინ-იღწ, ჰვამ-იღწ (და)ვიჭირ-იღწ, (და)ვაფჭვი-იღწ.

II. ხოლმეობითი (პირველი და მეორე) თუშურში იხმარება შემდეგი ფუნქციებით:

1. გამოხატავს დასრულებული, ან დაუსრულებელი მოქმედების მრავალგზისობას.

ა) დასრულებული მოქმედების მრავალგზისობას გამოხატავს მეორე ხოლმეობითი.

ბ) დაუსრულებელი მოქმედების მრავალგზისობას გამოხატავს პირველი ხოლმეობითი.

2. მეორე ხოლმეობითის მეორე პირის ფორმები გამოიყენება თავისებური, შეგონება-წაქეზებითი ბრძანების გადმოსაცემად.

3. ხოლმეობითობა ზოგჯერ, უმეტესად მამაკაცთა მეტყველებაში, გადმოიცემა ნამყო უსრულის ზმნისწინიანი ფორმებით.

4. პირველი ხოლმეობითი ზოგჯერ ნამყო უსრულის როლშიც გამოდის.

5. ლექსებში დასტურდება მეორე ხოლმეობითის ნამყო სრულის ფუნქციით გამოყენების ფაქტები.

III. თუშური ხოლმეობითის -იდ ფორმანტის რაობის და მესამე პირის -ი(ს) ფორმანტთან მისი მიმართების საკითხი უნდა გაირკვეს ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითის საერთო ფონზე ისტორიული დიალექტოლოგიის ჩვენებათა მოშველიებით.

რ. ჯანაშია

აბსოლუტივის ფუნქციების შესახებ აფხაზურში (ოთხთავის მასალის მიხედვით)

(ხელმძღვანელი—პროფ. კ. ლომთათიძე)

1. ოთხთავის ტექსტის შედარებით რუსულ ტექსტთან, საიდანაც ის თარგმნილია, აბსოლუტივს აქვს აფხაზურში შემდეგი ფუნქციები:

2 აფხაზური აბსოლუტივი ეფარდება:

ა) რუსულ აბსოლუტივს (деепричастие) უი აკიიტ ჰია იძბახი აძიგ² იჰიომეზტ არგამა იუდეგაა დრკციშიანე (იოანე 7, 13) — Впрочем, никто не говорил о нём, явно боясь иудеев.

დნეჟუოიტ ადგილ ძედაქია რჰჟ არაჰათრა ფშაააჰა (მათე 14, 43) Ходит по безводным местам ища покоя.

ბ) რუსულ მიმღეობას: დანააილაგ³ იბოიტ ითაცინე, იფსანე, აეაღჯრგანე (მათე 12, 44) — И пришел находит его незанятым, выметенным и убранным.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აბსოლუტივს შეუძლია გადმოსცეს რუსული ზმნის პირიანი ფორმა, ბრძანებითი კილო, ინფინიტივი.

პირველი ორი შემთხვევა გამოწვეულია აფხაზურის ზმნის ბუნებით: ფინიტურ წარმოებაში რამდენიმე ზმნას შორის კავშირი არ იხმარება: იპაქიითუ იმაალეჟ⁴ ამთალა აძთაჩე აჰჟ დელბაანე აძე აეაღაარგ⁵აეჰან (იოანე 5, 4) — Ангел господень по временам сходил в купальню и возмущал воду.

ასეთივე ვითარება გვაქვს ბრძანებით კილოშიაც: სიცანე უბრჟე აბგახიჰე იასიჰი! (ლუკა 13, 32) — Пойдите и скажите этой лисице.

რაც შეეხება რუსული ინფინიტივის გადმოცემას (სეჰუგელანე აძე (მათე 14, 28) — придти по воде—მისლვად... წყალთა

ზედა (აგი უმეტესად შედგენილი შემასმენლის წევრია ხოლმე იყა-
აჟა ძალაგეტ (მათე 20, 30)—Начали писать.

ლ. სანიძეძე

შეერთებითი კომპოზიციები (არსებითი სახელი)

ბაცბურ ენაში

(ხელმძღვანელი—პროფ. არნ. ჩიქობავა)

1. ბაცბურ ენაში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული შეერთებითი კომპოზიციები (ფსტუ-ბადერ „ცოლ-შვილი“).

დასტურდება, ერთი მხრივ, ჩაჩნურ-ინგუშურთან (საკუთრივ ბაცბური) და, მეორე მხრივ, ქართულთან (ზოგჯერ სხვა იბერი-
ულ-კავკასიურ და სხვა ენებთან) საერთო შეერთებითი კომპოზი-
ციები: ერთნაირია როგორც შედგენილობა, ისე — რიგი. ზოგი
კომპოზიტი ბაცბურში შესაძლებელია ქართულის კალკს წარმოად-
გენდეს. გვხვდება ქართულიდან შემოსული შეერთებითი კომპოზი-
ციებიც.

2. შეერთებითი კომპოზიციები ბაცბურში მეტწილად მრავლო-
ბითის ფორმითაა წარმოდგენილი.

3. ყურადღებას იქცევს შეერთებითი კომპოზიციების გ რ ა მ ა-
ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ი. გვხვდება სამი შემთხვევა:

1) შეერთებითი კომპოზიციები განეკუთვნება შემადგენელი
წევრებისაგან განსხვავებულ კლასს (დჭე-დოკი [ა-] „გულმკერდი“,
ზედმიწვენით, „ღვიძლ-გული“, შდრ. დჭე [დ-, დ-], დოკ [დ-, დ-],
შდრ. შეერთებითი კომპოზიციების გრამატიკული კლასები ანდიურ
ენაში—ილ. ცერცვაძე);

2) შეერთებითი კომპოზიტი იმავე კლასში შედის, რომელშიც
პირველი შემადგენელი ნაწილი კომპოზიტისა (დჭე-ფჭათუჭ [დ-]
„შიგნეულობა“, ზედმიწვენით, „ღვიძლ-ფილტვები“, შდრ. დჭე
[დ-, დ-], ფჭათუჭ [ა-]);

3) კომპოზიტი და კომპოზიტის მეორე ნაწილი ერთისა და
იმავე კლასის სახელებია (მარლ-ბაქი [ა-] „სახე“, ზედმიწვენით,
„ცხვირ-პირები“, შდრ. მარლზ [ბ-, დ-], ბაქ [ბ-, ა-]; შდრ. გერ-
მანულში: Das Butter-brot „კარაქიანი პური“, ზედმიწვენით, „კა-
რაქ-პური“, შდრ. die Butter, das Brot).

პირველ შემთხვევაში განიჩევა ორი ტიპი: პირველი — ადა-
მიანის კლასის (სხვადასხვა—მამრობითი და მდედრობითი—სქესის
აღმნიშვნელი) სახელების შეერთებით მიღებული კომპოზიციები მუ-
დამ დ-, დ- კლასს განეკუთვნება. ეს უნდა იყოს გამოძახილი იმ

ფაქტისა, რომ ნაყბისა „ამხანაგი“ ტიპის სახელები (რომლებიც შეიძლება აღნიშნავდეს როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის ადამიანებს) დ-, დ- კლასში შედის, თავის მხრივ კი ასეთ სიტყვებში ვლინდება სხვადასხვა კლასების დ-, დ- კლასში შერწყმის (დ-, დ კლას-ნიშნის განზოგადების) ტენდენცია, რაც ნათლად ჩანს ბაცბურში (ი. დეშერიევი, ნ. ქადაგიძე).

მეორე—ნივთთა კლასის აღმნიშვნელ კომპოზიტებში გვაქვს ა-, ა- და დ-, დ- კლასის სახელები. ესეც ის კლასებია, რომლებშიც თანდათან ერთიანდება დანარჩენი კლასები (ა-, ა- კლასის ხედვრითი წონა ამ მხრივ დ-, დ- კლასთან შედარებით ნაკლებია).

ამგვარად, რიგი შეერთებითი კომპოზიტები ბაცბურში მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით წარმოგვიდგება, როგორც მტკიცედ შედუღებული ერთი ისეთი ახალი სიტყვა-წარმოებითი ოდენობა, რომლის შემადგენელი წევრები ტოლფასოვანია. შდრ. ამ მხრივ განსაზღვრებითი კომპოზიტები, სადაც ერთ-ერთი წევრია ძირითადი და კომპოზიტიც ამ წევრის კლასს მისდევს (ნანეაშრ [გ-, ბ-] „ბიძა“, ზედმიწევნით, „დედის ძმა“, შდრ. ნან [ა-, დ-], ეაშრ [გ-, ბ-]), თუმცა აქაც ახალ სიტყვას ვლენბულობთ.

მეორე შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ კომპოზიტის კლასი კი არ განისაზღვრება მისი (კომპოზიტის) პირველი ნაწილის კლასით, არამედ კომპოზიტი და კომპოზიტის პირველი ნაწილი შემთხვევით ერთისა და იმავე კლასისა აღმოჩნდა.

მესამე შემთხვევაშიც არ არის გიმორიცხული ზემოაღნიშნულის (მეორე შემთხვევა) მსგავსი ვითარება, მაგრამ უფრო საფიქრებელია კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა არამყარ შეერთებასთან გვექონდეს საქმე. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ერთგვაროვანი ქვემდებარე ან დამატება ასეთსავე ურთიერთობაშია შემასმენელთან: ზმნაში აისახება იმ სახელის კლასი (თუ სხვადასხვა კლასის სახელებია), რომელიც მას (ზმნას) უშუალოდ წინ უძღვის.

ბ. ბელოზვილი

პარალელური გეოგრაფიული სახელების შესახებ

ქართულ ტოპონიმოკაში

(ხელმძღვანელი—დოც. ივ. გიგინეიშვილი)

გასაანალიზებელი ტოპონიმოკური მასალა წარმოდგენილია საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ—ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით (1961 წ.)

შეიმჩნევა, რომ ქართულ ტოპონიმოგრაფიაში ერთი და იგივე სახელწოდება ორი, სამი, ოთხი და მეტი გეოგრაფიული პუნქტის სახელის აღსანიშნავად გამოდის.

მაგ., ახალდაბა საქართველოს ცხრა რაიონში გვხვდება, ტბეთი—ექვსგან, ვანი—ოთხგან, ახალშენი—ცამეტგან, ვაშლოვანი—ექვსგან, ციხისძირი—ოთხგან და ა. შ.

იოკვევა, რომ პარალელური ტოპონიმების წარმოქმნას განაპირობებს:

1. სხვადასხვა რაიონებში მსგავსი რელიეფის, ფლორისა და ფაუნის არსებობა;

2. მოსახლეობის ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეზე გადასვლა;

3. ადამიანთა ერთი და იმავე სახელისა და გვარის არსებობა სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში;

4. სოციალისტური ახალმშენებლობანი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში.

ტოპონიმოგრაფიულ სახელთა გარკვეულ ნაწილს პარალელები არ ეძებნება. ასეთი ცალკეული სახელების არსებობის მთავარ ფაქტორად სახელთა რქმევის ნებისმიერობის პრინციპი უნდა ვივარაუდოთ.

6. იმნაძე

მეგრულის მოკალწიზმი

(რენტგენოგრაფიული გამოკვლევა)

(ხელმძღვანელი—პროფ. შ. გ. გაფრინდაშვილი)

1. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში რენტგენოღანადგარით ურდ 110 შევისწავლეთ მეგრულის კილოკავების—ზუგდიდურისა და სენაკურის ხმოვნები. ცდის პირები იყვნენ: დ. ს. (ზუგდიდის რ. სოფ. ხობი), თ. ყ. (გეგეჭკორის რ. სოფ. ჯოღლევი) და გ. ო. (გალის რ. სოფ. ნაბაკევი).

2. რენტგენოგრაფიულმა შესწავლამ გამოავლინა:

ა) მეგრულის, ზუგდიდურს კილოკავში ა ხმოვნის არტიკულაციისას ენის ძირსზედა ნაწილი შესამჩნევად უახლოვდება ხახის უკანა კედელს კისრის პირველი მალის საფუძვლის დონეზე. ამავე დროს ენის კორპუსის უდიდესი ნაწილი პირის ღრუს უკანა და

ბახის ღრუს ზედა ნაწილისაკენაა დაწეული. მიუხედავად ამისა-
ენის ზურგის ამოზნექილობის მაქსიმუმი რბილი სასის წინა-
ნახევრის პირდაპირაა, რაც უკანა რიგის ა ხმოვნის არტიკულაცი-
ის რამდენადმე წინწაწეულობაზე მიუთითებს.

ა ხმოვნის არტიკულაციის წინწაწეულობა უფრო ნათლად სე-
ნაკელის მეტყველებაში შეინიშნება, თუმცა ამასთანავე კვერცხისე-
ბურად მომრგვალებული ენის კორპუსი თავისი ძირსზედა ნაწილით
საქმაოდ უახლოვდება ბახის უკანა კედელსაც.

ლიაობის მიხედვით ზუგდიდურის ა ხმოვანი უფრო ახლოა
ქართულის შესაბამის ხმოვანთან, ვიდრე სენაკურისა.

ენის აწეულობის მიხედვით მეგრულის ა ხმოვანი დომინან-
ტობს ჭანურის ა ხმოვანზე.

მეგრულის ა უკანა რიგის, წინწაწეული ხმოვანია- ამ მხრივ
იგი უპირისპირდება ჭანურისა და ქართულის ა ხმოვანს, რომელიც
უკანა რიგის ხმოვანს წარმოადგენს.

ბ) მეგრულის ე ხმოვანი ზუგდიდელის წარმოთქმით უფრო
დაბალი აწეულობისაა, ვინემ ეს სენაკელის წარმოთქმისთვისაა და-
მახასიათებელი. სენაკურში ე ხმოვანი აწეულობით თითქმის არ
განსხვავდება ი ხმოვნისაგან. ე ხმოვნის წარმოთქმის დროს ენის
კორპუსი პირის ღრუს შუა ნაწილშია მოთავსებული ისე, რომ ენის
ზურგის მაქსიმალური აწეულობის წერტილი მაგარი სასის უკანა
ნახევრის პირდაპირაა (სენაკურში), ან კიდევ წინა და უკანა ნახევ-
რების საზღვრის პირდაპირ (ზუგდიდურში).

მეგრულის ე ხმოვანი ლიაობით ჩამორჩება ჭანურის შესაბამის
ხმოვანს. ამასთანავე იგი რამდენადმე უფრო წინა წარმოებისაა
ჩანს, მაგრამ როგორც ჭანურის, ისე მეგრულის ე ხმოვანიც შუა
რიგის ხმოვნად უნდა იქნეს ჩათვლილი.

გ) ი ხმოვანი მეგრულში ისეთივე ვიწრო ხმოვანია, როგორც
ქართულში. მისი წარმოთქმის დროს ენის მასა პირის ღრუს წინა
ნაწილშია მოქცეული. ამის შედეგად ენის ძირსზედა ნაწილსა და
უკანა ენის საგიტალურ ზოლში ღარისებური ჩაზნექილობაა წარ-
მოქმნილი. წინა ენის ზურგი მაქსიმალურადაა მიახლოებული მა-
გარი სასის წინა კიდეა და გუმბათის მაქსიმალური ჩაღრმავების
ადგილს.

დ) მეგრულის ო ხმოვნის წარმოთქმისას ზუგდიდურში ენა
რბილი სასის უკანა ნახევრის მიმართულებით ამოიბურცება. ენის
კორპუსი იხევს უკან იმდენად, რომ ენის წვერი ქვედა საჭრელი
კბილების ნუნებს-ლა წვდება. ბაგეები წინაა წაზიდული და მომრ-

გვალებული.. მათ შორის ფართო ნაპრაღია, მაგრამ ეს ხმოვანი მაინც საკმაოდ გამოკვეთილად აღაბიალიზებული.

სენაკურში, რენტგენოგრაფიის მიხედვით, ა და ო ხმოვნების წარმოთქმისას ენის არტიკულაცია თითქმის ერთნაირია. როგორც ა ხმოვნის ისე ო ხმოვნის წარმოთქმის დროს უკანა ენის ხახის უკანა კედლის მიმართულებით არტიკულაციის გვერდით შუა ენის მაგარი და რბილი სასის შესაყარის მიმართულებით რელიეფურად გამოხატული აწევა შეინიშნება. შუა ენის ენერგიული აწეულობის შედეგად ენის წვერი საგრძნობლად დაცილებული ქვედა საჭრელ კბილებს.

მეგრულში ო უფრო ვიწროა, ვინემ ქანურში. ქართულისა და ქანურის ო ხმოვანი უფრო უკანა წარმოებისაა, ვიდრე მეგრულისა. მეგრულში ო ისეთივე წინწაწეული უკანა რიგის ხმოვანია, როგორც ა.

ე) უ ხმოვნის წარმოთქმისას მეგრულის ზუგდიდურს კილოკავში უკანა ენის ზურგის რბილი სასის წინა ნახევრის მიმართულებით ენერგიული არტიკულაცია შეინიშნება. წინა ენა ქვედა ყბის ფსკერზე დევს ქვედა საჭრელი კბილების ნუნების საფუძველთან. ბაგეები წინწაზიდულია, მომრგვალებულია და ერთმანეთთან ისეა მიახლოებული, რომ მათ შორის მცირე ნაპრაღია დარჩენილი.

სენაკურ კილოკავში უ ხმოვნის წარმოთქმის დროს უკანა ენის ზურგის არტიკულაცია ნაკლებენერგიულია. ამასთანავე არტიკულაციის ღერძი გაცილებით უკან, კისრის პირველი მალის შუა ნაწილის მიმართულებით გადის. სამაგიეროდ შუა ენის ზურგი მეტად ენერგიულად იწევეს ზევით და მაგარი და რბილი სასის შესაყართან დავიწროვბას წარმოშობს. ენის წვერი ქვედა ყბის ფსკერზე დევს ქვედა საჭრელი კბილების ნუნების საფუძველთან. შუა ენის სასის მიმართულებით არტიკულაციის ნიშნით სენაკური კილოს უ ძალიან ჰგავს ო ხმოვანს. უ ხმოვანი როგორც ზუგდიდური, ისე განსაკუთრებით სენაკური კილოს მონაცემებით, უკანა რიგის, წინწაწეული ხმოვანია. ამით ეს ხმოვანი განსხვავდება ქართულისა და ქანურის უკანა რიგის უ ხმოვნისაგან.

ვ) მეგრულის ზუგდიდურ—სამურზაყანულ თქმაში გ ხმოვანს უკანა რიგის ხმოვნებისაგან განასხვავებს საკმაოდ დიდი მანძილი ხახის უკანა კედელსა და ენის ძირსზედა ნაწილს შორის. მაგრამ სამაგიეროდ რენტგენოგრაფიაზე უკანა ენისა და ენის ძირსზედა ნაწილის იმ ღარისებურ ჩაზნექილობას ვერ ვხედავთ, რაც წინა რიგის ხმოვნებისთვისაა ნიშანდობლივი.

2 ხმოვნის წარმოთქმისას შუა ენის ზურგი ენერგიულად უახლოვდება მაგარი და რბილი სასის საზღვარს, სადაც კმნის ვიწრო გასასვლელს საფონაციო ჰაერნაკადისათვის. ეს გვაძლევს საშუალებას 2 ხმოვანი ჩავთვალოთ შუა რიგის, მაღალი აწეულობის ხმოვნად.

ბაგეების ინდიფერენტული მდგომარეობა და ღიაობის თითქმის სრულიად უქონლობა მეგრული 2 ხმოვნის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია.

3. ამრავად, მეგრულში წინა რიგისაა მხოლოდ **ი** ხმოვანი. **ე** და **ე** ხმოვანიშუა რიგის ხმოვნებია. **ო**, **უ** და **ა** მეგრულში, განსაკუთრებით მის სენაკურ კილოკავში, უკანა რიგის წინწაწეულ ხმოვნებს წარმოადგენენ. მაღალი აწეულობისაა **ი** და **უ** ხმოვანი, საშუალო აწეულობა ახასიათებს **ე**, **ო** და **ე** ხმოვანს. **ა** ხმოვანი მეგრულში უფრო მაღალი აწეულობისაა, ვინემ, მაგალითად, ქანურში, მაგრამ იგი მაინც დაბალი აწეულობის ხმოვნებს განეკუთვნება.

მეგრულს არა აქვს ნაზალიზებული ხმოვნები. ლაბიალიზებულია **ო** და **უ**.

6. კიზირია

ჭანური მოკალიზმი (რენტგენოგრაფიული გამოკვლევა)

ხელმძღვანელი—პროფ. შ. გაფრინდაშვილი

1. რენტგენოგრაფიულად შევისწავლეთ ქანურის ხმოვნები სოფ. სარფის მცხოვრებ ჰ. ჰ.-ს წარმოთქმით. ცდისპირმა იცის ქანური, ქართული, რუსული (რენტგენოგრაფია ჩატარდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში).

2. ქანური **ა** ხმოვნის წარმოთქმის დროს ენის მასის უდიდესი ნაწილი პირის ღრუს უკანა მხარისკენაა გადაწეული. უკანა ენის ზურგი ოდნავ მაღლაა აწეული. მისი არტიკულაციის ღერძის გაგრძელება გადის რბილი სასის უკანა ნახევარზე. ენის წვერი ქვედა საკრელ კბილებს არ ებჯინება, უფრო უკანაა დაწეული. **ა** ხმოვანი დიდი ღიაობით ხასიათდება. ბაგეები **ა**-ს არტიკულაციაში აქტიურად არ მონაწილეობენ. **ა** ხმოვნის სარეზონანსო არე ზედსაღვამი მილის ქვედა ნაწილში ვიწროა, ხოლო წინა ნაწილში ფართოვდება.

ქანური **ა** კარგად გამოხატული უკანა რიგისა და დაბალი აწეულობის ხმოვანია.

3. ჰანური ე ხმოვნის არტიკულაციის დროს ენის მასა პირის ღრუს შუა ნაწილშია მოთავსებული. ენის ზურგი ენერგიულად უახლოვდება მაგარი და რბილი სასის შესაყარს, მაგრამ მისი აწეულობის ხარისხი რამდენადმე ჩამორჩება ი ხმოვნისას. ენის წვერი ქვედა საჭრელი კბილების გვირგვინთა მწვერვალებს ებჯინება. ბაგეები განზეა გაზიდული. ე ხმოვანი საკმაოდ დიდი ღიაობით ხასიათდება. ენის მასის წინისაკენ არასაკმაო გადაადგილების გამო ენის ძირზედა ნაწილში ვამჩნევთ მცირე სიგრძე ღარისებურ ჩაზნეკილობას, რომელიც ნიშანდობლივია წინა რიგის ხმოვნებისათვის. ე-ს სარეზონანსო არე ზედსაღვამი მილის ქვედა ნაწილში ფართოა, უკანა ენის სასასთან მიახლოების ადგილზე ვიწროვდება, ხოლო პირის ღრუს წინა ნაწილში კვლავ ოდნავ ფართოვდება.

ჰანურის ე ხმოვანი, რენტგენოგრაფიის თანახმად, შეიძლება საშუალო აწეულობის შუა რიგის ხმოვნად ჩაითვალოს.

4. ი ხმოვნის წარმოთქმის დროს ენის მასის უდიდესი ნაწილი პირის ღრუს წინა ნაწილისკენაა გადაადგილებული. ენის ზურგის ყველაზე მაღალი აწეულობა მაგარი სასის შუა ნაწილის პირდაპირაა. ენის წვერი რკალისებურად ეშვება ძირს და ქვედა საჭრელ კბილებს ეხება. ბაგეები მჭიდროდ ეკვრის კბილებს და განზეა გაწეული. ჰანური ი ვიწრო ხმოვანია. მისი სარეზონანსო არე ხორხის ვესტიბიულსა და ხახის ღრუში ფართოა, ხოლო პირის ღრუსაკენ თანდათან ვიწროვდება. მაგარი სასის წინა ნაწილში რეზონატორი რამდენადმე ფართოვდება.

ჰანური ი ხმოვანი წინა რიგის, მაღალი აწეულობის ვიწრო ხმოვანია.

5. ჰანური ო ხმოვნის წარმოების დროს ენის მასის უდიდესი ნაწილი პირის ღრუს უკანა ნაწილშია მოთავსებული. ენის ზურგი რბილი სასის მიმართულებით უფრო მეტადაა აწეული, ვიდრე ეს ა ხმოვნისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე ამას უ ხმოვანთან ვხედავთ. ენის წვერი დევს ქვედა ყბის საფუძველზე ქვედა საჭრელი კბილებისაგან საკმაოდ დაშორებით. ბაგეები მომრგვალებულია, წინ წამოწეულია და ერთმანეთს უახლოვდებიან. ისინი არტიკულაციაში აქტიურად მონაწილეობენ. სარეზონანსო არე ხახის ვესტიბიულსა და ხორხის ღრუს მიდამოში ვიწროა, პირის ღრუსაკენ კი თანდათან ფართოვდება.

ჰანური ო უკანა რიგის, საშუალო აწეულობის ლაბიალიზებული ხმოვანია.

6. ქანური უ ხმოვნის წარმოთქმის დროს ენის მასის უდიდესი ნაწილი პირის ღრუს უკანა ნაწილისაკენაა გადაადგილებული და ამოზნექილი რბილი სასის უკანა ნახევრის მიმართულებით. ენის წვერი ძირს არის დაშვებული და დიდი მანძილითაა დაშორებული საპრელ კბილებს. ბაგეები უფრო მეტადაა მომრგვალებული, წინ წამოწეული და ერთმანეთს მიახლოებული, ვიდრე ეს ო-ს დროს შეინიშნებოდა. სარეზონანსო არე ხორხის ვესტიბიულში განიერია, ხახის ღრუში კი შევიწროებული, პირის ღრუში რეზონატორი თანდათან ფართოვდება და პირის ვესტიბიულში კვლავ იკარგება.

ქანური უ ხმოვანი უკანა რიგის, მაღალი აწეულობის, ლაბიალიზებული ხმოვანია.

7. ყველა ზემოჩამოთვლილი ბგერის წარმოების დროს რბილი სასის ფარდა მკიდროდ ეკერის ხახის უკანა კედელს და საფონაციო ჰაერნაკადს ცხვირის ღრუსაკენ მიმავალ გზას უკეტავს. ქანურს ნაზალიზებული ხმოვნები არ გააჩნია.

8. ქანურს ქართულის მსგავსად მოებოვება ხუთი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ. ქართულისაგან განსხვავებით ქანურში არის ნახევარხმოვანი ჟ. ქანურს არ აქვს მეგრულისათვის დამახასიათებელი ხმოვანი გ.

9. ქანურის ხმოვნების ქართულთან შედარება გვიჩვენებს: ქანურისა და ქართულის ი და ა ხმოვნების არტიკულაცია დიდ მსგავსებას ამტკიცებს. ასევე თითქმის ერთნაირია ქანური და ქართული უ ხმოვნების წარმოებაც, თუ მხედველობაში ქართულის უ-ს წარმოთქმისას ენის წვერის ოდნავ უფრო წინწაწევას არ მივიღებთ. ო ხმოვანი უფრო დაბალი აწეულობისაა, ვიდრე ქანურის შესაბამისი ხმოვანი. ქართულისაგან განსხვავებით ქანურის ე ხმოვანი აშკარად შუა რიგისაა და უფრო ღიაა.

10. ქანურ ხმოვანთა რენტგენოგრაფიულად შესწავლა საფუძველს გვაძლევს, ეს ხმოვნები დავყოთ წინა, შუა და უკანა რიგის ხმოვნებად. წინა რიგისაა ი, შუა რიგისაა ე, ხოლო უკანა რიგის ხმოვნებში ერთიანდებიან უ, ო, და ა.

ყველაზე დაბალი აწეულობისაა ა ხმოვანი, საშუალო აწეულობისაა ო, ე, მაღალი აწეულობის ხმოვნებია ი და უ.

ლაბიალიზებულია მხოლოდ ო და უ.

დავით ჩუბინაშვილი—გრამატიკოსი

(ხელმძღვანელი დოც. ივ. გიგინეიშვილი)

დავით იესეს ძე ჩუბინაშვილმა (1814—1891 წ. წ.) მ. ბროსესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის შესწავლას პეტერბურგის უნივერსიტეტში. იგი თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში პრაქტიკულადაც ემსახურებოდა ქართული ენის სწავლების საქმეს. მას ეკუთვნის ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო („Краткая грузинская грамматика“ 1855 г.), რომელზეც ზოგიერთი სიახლით აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ეს დავა სასარგებლო იყო ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარებისათვის.

დ. ჩუბინაშვილის გრამატიკა ქართული ენის გრამატიკებს შორის პირველია, რომელიც მთლიანად ახალი ქართულის, ცოცხალი სალაპარაკო ენის მასალას ემყარება. ავტორი ამ მასალას ძირითადად სწორად აანალიზებს.

1887 წელს დ. ჩუბინაშვილის ქართულ—რუსული ლექსიკონის წინასიტყვაობად დაბეჭდილი „ქართული ღრამატიკა“ 1855 წლის გრამატიკის გადამუშავებულ სახეს წარმოადგენს.

АВИДЗБА З. Х.

ГЛАГОЛЬНЫЕ МОДАЛЬНЫЕ АФФИКСЫ В АБХАЗСКО-АБАЗИНСКИХ ДИАЛЕКТАХ

Научный руководитель: проф. Ломтатидзе К. В.

I. В глагол абхазско-абазинских диалектов включается большое число аффиксов (в том числе и частиц), выражающие разные модальные значения. Они как правило, обозначают признаки, свойственные наречиям, а также прилагательным. Этим, по всей вероятности, и следует объяснить тот факт, что в абхазском языке наречие и имя прилагательное представлены сравнительно бедно.

II. Модальными морфемами, общими для всех абхазско-абазинских диалектов являются:

-la—аффикс многократности (scalon „я ходил неоднократно“ и др.).

-х—аффикс повторности (inhoaxwejt опять ты (м.) говоришь то" и др.).

-коа—суффикс множественности и многократности (iqaz-
caкоо "те, кто делают то", scaкоо "я ходил неоднократно"
и др.).

-соа—аффикс чрезмерности (isfacoejt "я слишком много
съел" и др.).

-за—аффикс интенсивности dcazejt "он (ч.) ушел совсем"
и др.)

-гоəša—имеет оттенок скорби, печали (dəpsgoəšeit "он (ч.)
умер, бедный" и др.).

-срх'аза—(тап., ашх. -рх'аза)—"каждый раз, как" (dcasr-
x'аза "каждый раз, как он (ч.) пойдет" и др.).

-ižtej—(абж. бзыб. -ižte || -ištej || -ište, ашх.—izštara || izš-
tara || -izštara, тап. -ižta || -ižtara || -išta || -ištara)—"с тех пор, как"
ihoejžtej "с тех пор, как он (ч.) сказал то". и др.).

-наçə—(абж. бзыб. наça || -наç || -наçə, тап. -наçk'ара || -нçk'-
ара || -нçk'а || -нçək'ара || -нçək'а || -наžk'ара || наžək'ара || на-
žək'а, ашх. -наçik'га || -нçik'га || -нçik' || -наçik' || -(aa)нçək' ||
-нçik'əга — "пока; до тех пор, пока" (ākrufonaçə "пока ты (м.)
есть" и др.).

-šoа—"как будто" (dʔoazšoа "как будто он (ч.) сидел". и др.).

-išt—(абж. бзыб., ашх. -išt || -iš || š, тап. -st || -st)—"ка,
интересно" ihoəjšt "скажи-ка то" и др.).

-масага—(тап., ашх. -мса || -мсага) "только, только лишь"
(dəšəcoəwoz-масага "он (ч.) плача все время [он-как-плакал-
только]" и др.).

-əj—(абж., бзыб. || -e, ашх. -ti, тап. -i)—усилительно-под-
твердительная частица (dʔoanej "он [ч.] ведь сидел" и др.).

-g'ə—усилительно-подтвердительная частица-суффикс (is-
hoarg'ə "если я и сказал бы" и др.).

(a)g'ə—усилительно-подтвердительная частица-префикс (sag'-
sojt "я и пойду" и др.).

-ajta—(тап. -ata- || -əta- || -atə-) -частица—префикс повтор-
ности (dejtazt "он [ч.] опять потерялся". и др.).

Вышеперечисленные аффиксы в названных диалектах
проявляют общность, как материального, так и функционального.

порядка; наблюдаемые расхождения носят лишь фонетический характер.

III. Специфическими для тапантского и ашхарского диалектов следует считать частицы:

-rkoa—значение длительности (igəlar koa „то [в.] все еще стоит“ и др.).

-woasa—„только, только что“ (da lga woasa „он [ч.] только закончил то“ и др.).

-təwoa—частица, используемая в указанных диалексах параллельно с идентичной ей по значению частицей -goəša, заимствованная из кабардинского языка.

Специфическими для абжуйского, бзыбского и ашхарского диалектов являются частицы:

-soq'a—(бзыб. -soqa, ашх. соау')—„точно, действительно“ (šəi hoasoq'az „точно, так как [м.] сказал то“ и др.).

-aw—вопросительная частица-префикс (daw saxwa „разве же он пойдет“ и др.).

Специфическими для тапантского диалекта являются частицы:

-bərg—отмеченная частица, проявляющая материнскую общность с абхазскими диалектами, выступает здесь (в тапантском диалекте) с функцией адекватной—soq'a (išəj wobərgwaz „точно так, как [м.] писал то“ и др.).

-ʔaž || ʔ—частица интенсивности (dgozoəzoə-ʔaž „он [ч.] очень разволновался“ и др.). Заимствована из кабардинского языка.

В диалектах имеются расхождения и функционального порядка, так например, специфическими для тапантского и ашхарского диалектов являются такие значения аффикса повторности—x, как выражение последовательности действия, возвратности и др.; из них значения возвратности и результативности возникли, видимо, в указанных диалектах под влиянием кабардинского языка.

IV. Таким образом, рассматриваемые аффиксы, в своем подавляющем большинстве, общи для всех абхазско-абазинских диалектов, имеющие расхождения, как правило, носят фонетический характер. Особенности же материального (-təwoa, -ʔaž || ʔ) и функционального (-x—результативности, возвратности) порядка возникли под влиянием адыгских языков.

მეგრულ მჟგნჳ „თავბრუ დამსხა“ სიტყვის
ეტიმოლოგიისათვის

(ხელმძღვანელი—პროფ. არნ. ჩიჭობავა)

1. ზმნა მჟგნჳ || მჟჳინუ დასტურდება მეგრულის ზუგდიდურ სამურზაყანულ თქმაში.

2. -ქგნ- || -ჰინ- ფუძისათვის ამოსავალში *-ქუნ- ვარიანტი ივარაუდება.

3. ეს ფუძე მეგრულში იზოლირებულია. ქანური ქუნ-ი „ტვინი“ სხვა ფუძეა და შეესატყვისება ქართულ ქონ-ს.

4. ეტიმოლოგიური მნიშვნელობა დაცული უნდა გვექონდეს სვანურში სიტყვაში ქუნ || ქჷინ „სული“. სემანტიკურად ასეთი დაკავშირება შესაძლებელია (შდრ. ძვ. ქართული ხულ-ჲ-შე-ხულ-ებ-ულ-ი „გრძნობა, გონება დაკარგული“).

5. -ქუნ- ფუძეს ძვ. ქართულშიც ეძებნება პარალელი.
